



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



განკარგულება:გ-65.65230395

თარიღი:08/02/2023

**ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შპს "Georgian Build"-თან
სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ხელშეკრულების დადებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „Georgian Build“-თან შემდეგი მიზნით:

· უზუთის ადმინისტრაციულ ერთეულში უზუთი-იმერუხუთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

· გორას ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ცენტრიდან კერძევაძეები-ენუქიძეებისა და სიმონიების უბნების მიმართულებით;

· ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია:

ა. კოპიტნარის მიმართულებით (აგს-დან, მეორე ეტაპი);

ბ. ადგიშვილების უბანი;

გ. სკოლიდან ხურციძეების უბნის გავლით;

2. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1159018 (ერთი მილიონ ასორმოცდაცხრამეტი ათას თვრამეტი) ლარს.

3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

